ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №499974

ნომერი: AR1100736

თარიღი : 27.12.2012

გაცემის თარიღი : 06.02.2013

გაცნობის თარიღი : 06.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , N 143 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჩოკოშვილი პ/ნ 01022002402
- თბილისი ნ.შენგელაიას ქ. N 41

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2013 წლის 9 იანვრის #1 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ანდრონიკაშვილის ქ. #143-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.01.006.073) ფუნქციური ზონის სტატუსის საცხოვრებელი ზონა 2-ის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილებას მიეცა თანხმობა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის 2013 წლის 25 იანვრის N1–2 გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლითაც დაკმაყოფილებული იქნა თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.